ხელშეკრულება N 44
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი **26 თებერვალი 2015წ.**

ერთის მხრივ, შ.პ.ს. „ჰერმესი“ (შემდგომში - შემსყიდველი), დირქტორის მიხეილ ძაგანიას სახით და მეორეს მხრივ, ი.მ. „იური პაპავა“ (საიდ. კოდ: 620005012066), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია შ.პ.ს. „ჰერმესი“-ს საკუთარი შემოსავლებით, სკამების შეკეთების შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

მუხლი 2. ხელშეკრულების ობიექტი (CPV 50800000)

2.1. ხელშეკრულების ობიექტია: საოფისე სკამების შეკეთება

N	დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	ფასი
1	სავარძლის გორგოლაჭები	2	10	20
2	სავარძლის ამორტიზატორი	2	15	30
3	სავარძლის ფეხი ვარსკლავებური	2	25	50
	სულ ფასი			100

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება
3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.
3.2. შესყიდვის ღირებულების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 100 ლარს.

მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია
4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხის უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

მუხლი 5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები.
5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების, ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2015 წლის 27 თებერვლის ჩათვლით.
5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის. (სასაქონლო ზედნადები, ანგარიშ-ფაქტურა)

მუხლი 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი
6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
6.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილი პირები არიან მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების თანამშრომლები.

მუხლი 7. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები
7.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება ლარებში
7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.
7.3. ანგარიშწორება მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.3. პუნქტში მითითებული დოკუმენტაციის წარდგენიდან არაუმეტეს 3 საბანკო დღის ვადაში.

მუხლი 8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაში ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის მიცემისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაში დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

8.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკსირება პირგასამტეხლოს გადახდა ვალადებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.5%-ის ოდენობით.

მუხლი 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2015 წლის 10 აპრილის ჩათვლით.

მუხლი 10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლოა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.2. სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილ შემთხვევებში ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა დასაშვებია არაუმეტეს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით.

მუხლი 11. ფორს-მაჟორი

11. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქტიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედეას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

11.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

11.3. მხარე რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორის გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შეასხებ მეორე მხარეს.

მუხლი 12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა განიხილება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს შ.პ.ს. „ჰერმესი"-ს მატერიალურ- ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების წარმომადგენლები.
13.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერ ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
13.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 14. სხვა პირობები

14.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
14.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავისი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
14.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშრებული ნებისმიერი მიმოწერაშესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
14.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმთაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

მუხლი 15.მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი

შ.პ.ს. „ჰერმესი"

ს.კ: 202888349
მის: ქ. თბილისი, დიღმის პლატო, დიდგორის ქუჩის მიმდებარედ
ტელ: 2212184; 2212194
ბანკი: სს „ლიბერთი ბანკი", ცენტრალური ფილიალი
ბანკის კოდი:
ა/ა N GE13LB0113121340998000

დირექტორი
მიხეილ ძაგანია

მიმწოდებელი:

ი.მ „იური პაპავა"

ს/კ: 62005012066
ს.ს. „საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა GE96BG0000000279242100

იური პაპავა

ი.მ იური პაპავა
62005012066